პროფესიული მომზადების/პროფესიული
გადამზადების პროგრამის განხორციელების
უფლების მიმნიჭებელი საბჭო

11/04/2025

MES 4 25 0000402439

გადაწყვეტილება

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინ გთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ და „სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის პროფესიული გადამზადების პროგრამის „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1058791 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის (ს/კ: 206351730) „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის უფლების მოპოვების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1058791 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი)**.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2025 წლის 11 აპრილის №401326 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი

პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სანაია სალომე

ელექტრონული
ეროვნული
ელექტრონული

დანართი

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
01405	ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	8	ქართული	21	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.№6